პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 136 (4130)

1970 წ. 14 ივლისი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## 4 ჩემპიონი და გუნდური პირველობა

ედმონტონი, 12 ივლისი. წარმატებით იასპარეზეს თავისუფალი სტილის ათლეტთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა მოჭიდავეებმა: კანადის ამ ქალაქში მათ გაიმეორეს კლასიკოსთა წარმატება და გუნდური I ადგილი დაისაკუთრეს.

უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურეს: 28 წლის მახაჩყალელმა პედაგოგმა ი. შახმურადოვმა, მისმა თანატოლმა, საავიაციო ინჟინერმა, კიეველმა ვ. გულიუტკინმა, 25 წლის მოსკოველმა სამხედრო მოსამსახურემ გ. სტრახოვმა და 32 წლის მინსკელმა პედაგოგმა ა. მედვედმა. სახელმოხვეჭილმა ბელორუსიელმა ათლეტმა დაამყარა თავისებური რეკორდი: ჭიდაობის ისტორიაში პირველად გახდა მსოფლიოს 6-გზის ჩემპიონი. მედვედი, ამასთანავე, ბოლო ორი ოლიმპიადის ჩემპიონია.

ტურნირის დასკვნით დღეს საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდნენ: სსრ კავშირის ნაკრების 9 წევრი, 7 ბულგარელი, 6-6 იაპონელი და ამერიკელი, 5 ირანელი და კიდევ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ბადალი არ ჰყავდა საბჭოთა გოლიათს მედვედს (მისი სიმაღლეა 191 სმ.) მიუხედავად იმისა, რომ მძიმეწონოსანთა შორის იგი ყველაზე მსუბუქია. მედვედმა შეხვედრები მაღალ დონეზე ჩაატარა და თითქმის ყველა წმინდად მოიგო. გადამწყვეტ ბრძოლაში მინსკელმა ათლეტმა ქულებით დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ბულგარელი ო. დურალიევი.

მედვედს „გაექცა“ მუდმივი კონკურენტი — თურქი პოლიციელი გ. იილმაზი. მან ჩამოიკლო „ზედმეტი“ კილოგრამები და ქვემძიმე წონაში სცადა ბედი. მაგრამ აქაც III ადგილზე მაღლა ვერ დადგა.

უკვე 18 წელია, რაც საჭიდაო ხალიჩაზე მქუხს ი. შახმურადოვის სახელი. იგი სსრ კავშირისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონია. თავისი მაღალი ოსტატობა შახმურადოვმა ედმონტონის მაყურებლებსაც აჩვენა.

სტრახოვი საბჭოთა კავშირის ნაკრებში პირველად შარშან მოვიდა და შარშანვე ევროპის ჩემპიონატში ოქროს მედალი დაიმსახურა. კანადაში საბჭოთა ათლეტი კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მან დამაჯერებლად მოუგო ფინალური შერკინება ამერიკელ ბ. მარლოუს.

ქების ღირსია ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი რ. დმიტრიევიც. იაკუტელმა სპორტსმენმა ბევრ ძლიერ კონკურენტს სძლია, მაგრამ ფინალში ირანელ ე. ჯავადისთან ბრძოლაში თვად იწვნია მარცხის სიმწარე.

გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა სიას:

48 კგ. 1. ე. ჯავადი (ირანი), 2. ა. უმედა (იაპონია), 3. რ. დმიტრიევი (სსრ კავშირი).

52 კგ. 1. ა. რიზა (თურქეთი), 2. ბ. ბაევი (ბულგარეთი), 3. მ. გხრბანი (ირანი).

57 კგ. 1. ხ. იანაგიდა (იაპონია), 2. ჯი ვუნ ანი (სამხრეთ კორეა), 3. ი. პატრიკოვი (ბულგარეთი).

62 კგ. 1. შ. ხიადაბასი (ირანი), 2. კ. აბე (იაპონია), 3. მ. იანგი (აშშ).

68 კგ. 1. ა. მოვახედი (ირანი), 2. ი. ჰუსეინოვი (ბულგარეთი), 3. ბ. დუგლასი (აშშ).

74 კგ. 1. ვ. უელსი (აშშ), 2. ნ. ფარხანდუსტხი (ირანი), 3. დ. სრეტერი (მონღოლეთი).

82 კგ. 1. ი. შახმურადოვი (სსრ კავშირი), 2. ტ. სასაკი (იაპონია), 3. ვ. იორგა (რუმინეთი).

90 კგ. 1. გ. სტრახოვი (სსრ კავშირი), 2. ბ. მარლოუ (აშშ), 3. ნ. კანადა (იაპონია).

100 კგ. 1. ვ. გულიუტკინი (სსრ კავშირი), 2. ლ. კრისტოფი (აშშ), 3. გ. იილმაზი (თურქეთი).

მძიმე. 1. ა. მედვედი (სსრ კავშირი), 2. ო. დურალიევი (ბულგარეთი), 3. პ. მერმერი (გდრ).

თავისუფალი ჭიდაობა

## ახალი ამბები

● მოსკოვი, 12 ივლისი. „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ტყვიის მსროლელთა ტურნირში მოსკოველმა ე. რახკაზოვმა პნევმატური პისტოლეტით სროლაში 400-დან 392 ქულა მოაგროვა, რაც 5 ქულით სჯობს სსრ კავშირისა და მსოფლიოს რეკორდს. სპორტსმენები მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ვარჯიშს ორ-ორჯერ (60+60) ასრულებდნენ. აქ ყველას აჯობა გ. კოსიხმა (რსფსრ) — 1138 ქულა. რახკაზოვი მას 3 ქულით ჩამორჩა.

● ბრადეც-კრალოვე (ჩეხოსლოვაკია), 12 ივლისი. აქ დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის სპორტსმენმა ქალებმა ჩემპიონობა მოიპოვეს, ვაჟები კი III ადგილზე გავიდნენ. პირად ტურნირში ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა ლვოველი ვ. სიდორუკი, რომელმაც ოთხ დისტანციაზე (90, 70, 50, 30 მ) 1166 ქულა მოაგროვა. ქალთა შორის ჩემპიონი გახდა შვედი ა. მერლუნდი. ე. კრავჩენკომ (სსრ კავშირი) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

● პრაღა, 12 ივლისი. აქ ფინიში ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონატს მოტორალიში. პირველობა მიეკუთვნა სსრ კავშირის ნაკრებს, რომელმაც 232320 ქულა მოაგროვა. გუნდის ამ წარმატებას ხელი შეუწყო იმან, რომ საბჭოთა კოლექტივის ექვსივე სპორტსმენმა 6845 კმ უჯარიმოდ გაიარა. სსრ კავშირის ნაკრებს „მონაკოს თასი“ გადაეცა.

## რეკორდები

ნიუ-იორკი, 13 ივლისი. ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 17 წლის ამერიკელმა მოცურავემ კარენ მოიმ, რომელმაც ბატერფლაით 2 წუთსა და 20,6 წამში გასცურა 200 მეტრი. მან 0,4 წამით გააუმჯობესა ჰოლანდიელი ადა კოკის ძველი მსოფლიო მიღწევა.

ამ ბრწყინვალე შედეგს ამერიკელმა გოგონამ მიაღწია საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელსაც ტრადიციულად ატარებს კალიფორნიის მოცურავეთა სახელგანთქმული კლუბი „სანტა კლარა“. ასპარეზობის სტარტზე ამჯერად გამოვიდნენ ბრაზილიელი, ესპანელი, მექსიკელი, შვედი, დასავლეთგერმანელი, იაპონელი და სხვა სტუმრები.

თავი გამოიჩინა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დები მაიერმაც (აშშ). მან ორ დისტანციაზე გაიმარჯვა: 400 მ თავისუფალი სტილით 4 წუთსა და 31,5 წამში გაცურა, ხოლო იგივე მანძილი კომპლექსური ცურვით 5 წუთსა და 12,2 წამში დაფარა. ეს შედეგები საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

ცურვა

## 20 45

◆ კარაკასი, 13 ივლისი. ჭადრაკში ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა, 19 წლის ლენინგრადელმა სტუდენტმა ა. კარპოვმა შეასრულა დიდოსტატის ნორმა — 11,5 ქულა მოაგროვა ვენესუელის დედაქალაქში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც ბევრი გამოჩენილი მოჭადრაკე მონაწილეობდა. კარპოვმა 8 პარტია მოიგო, 7 ყაიმით დაამთავრა და 2 წააგო.

## ჩვენს მეგობარ რესპუბლიკებში

### „სპორტის მეთაურთა“ ფაკულტეტი

ბელორუსიის ყველაზე „ახალგაზრდა“ უმაღლესმა სასწავლებელმა — გომელის უნივერსიტეტმა გამოაცხადა სტუდენტთა მიღება ახალ, რიგით მეშვიდე ფაკულტეტზე. აქ ფიზიკური კულტურისა და სპორტის თეორიისა და პრაქტიკის, მძლეოსნობის, ნიჩბოსნობისა და სათხილამურო სპორტის, სპორტული თამაშებისა და მედიცინის, ზოგადი ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრებზე მოამზადებენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს — „სპორტის მეთაურებს“. ახალ ფაკულტეტს აქვს ბაზა სასწავლო მეცადინეობისთვის. კალათბურთის, ფრენბურთისა და ჰოკეის მოედნები, ვრცელი დარბაზი, მძლეოსნური ბილიკი.

ამავე დროს, უნივერსიტეტთან იქმნება აკადემიკოს ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა საკავშირო საზოგადოების განყოფილება, რომლის სამუშაო პროგრამაშიც შედის მეცნიერული კვლევა ფიზიკური კულტურის სფეროში. განყოფილებას დახმარებას გაუწევს ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ვ. დუბოვი.

მინსკი.

### „ცარნიკავა“ აგებს კატამარანებს

ლატვიის მეთევზეთა კოლმეურნეობის „ცარნიკავას“ გემშენებლებმა კრეისერული კატამარანი ააგეს. ამ დიდმა ორკორპუსიანმა ხომალდმა, რომელსაც „გაუჯი“ დაარქვეს, რამდენიმე დღის წინ 800-მილიანი რეისი გაიარა მარშრუტით რიგა — ლენინგრადი — რიგა. საშუალო სიჩქარე დღე-ღამეში 100 მილი იყო. ასეთ ხომალდს შორეული მოგზაურობაც არ გაუჭირდება.

კატამარანს აგებდნენ ადგილობრივი ოსტატები რიგელი აფროსნის, სპორტის ოსტატ ა. ეგლაისის ხელმძღვანელობით. ლატვიელ მეთევზეებს დიდი დახმარება გაუწია ლენინგრადელმა მეცნიერმა, საზღვაო კატამარანმშენებლობის თეორეტიკოსმა ი. კრიუჩკოვმა.

ახლა კოლმეურნეობაში აგებენ მეორე კატამარანს, რომელიც „გაუჯისთან“ ერთად მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა საკრეისერო იახტების რეგატაში.

დ. გეფტერი.

რიგა.

### ცეცხლის ხაზზე

ნადირობის ინსპექტორმა ვ. გურენკოვმა (კალინინგრადის ოლქი) და ესტონელმა ინჟინერმა ვ. ცოპმა მოიგეს სოფლის სპორტსმენთა პირველი საკავშირო შეჯიბრება სასტენდო სროლაში. კალუგაში, სადაც ასპარეზობა ჩატარდა, თავი მოიყარეს რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ყაზახეთის, ესტონეთის, ლიტვისა და თურქმენეთის წარმომადგენლებმა. გურენკოვმა გაიმარჯვა ადგილიდან, ცოპმა — მრგვალ სტენდზე სროლაში.

გუნდურ ჩათვლაში : პირველობა „უროჟაის“ წარმომადგენლებს ხვდათ.

კალუგა.

## სპორტი მოგზაურობს



კიევი. წლის დასაწყისიდან 2 მილიონამდე წყვილი ფეხსაცმელი გამოიტანა ქალაქის მაღაზიებში საწარმოო გაერთიანება „სპორტმა“. ეს ბევრად მეტია, ვიდრე შარშან ამავე ხნის მანძილზე იყო. საქმე ისაა, რომ ახლახან საწარმოში მწყობრში ჩადგა რამდენიმე ახალი საამქრო. აქ მზადდება ფეხსაცმელი ფეხბურთელებისთვის, ჰოკეისტებისთვის, მოთხილამურეებისთვის, მძლეოსნებისთვის, მოკრივეებისთვის.

* * *

სურათზე: მუშა ლ. სავენკო ფეხსაცმლის ნიმუშებს ამოწმებს.

ა. ბორმოტოვის ფოტო (საკდესი).



ნოვოსიბირსკი. რამდენიმე გამოცდილმა სპორტსმენმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის ხარატის, სპორტის ოსტატ გ. ფიოდოროვის მეთაურობით გადაწყვიტა მოგზაურობა მოაწყოს ციმბირის მდინარეზე. ისინი ოთხი ძრავიანი ნავით იმოგზაურებენ ობზე ხანტი-მანსიისკამდე და ირტიშზე — ომსკამდე. მანძილი 4 ათასამდე კილომეტრი იქნება.

ლაშქრობა სპორტის ტექნიკურ სახეობებში რუსეთის სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობას ეძღვნება. იგი დამთავრდება 17 ივლისს—რესპუბლიკური შეჯიბრების დაწყების დღეს.

ნოვოსიბირსკელებს ომსკელი სპორტსმენებისთვის მიაქვთ ვიმპელები და საჩუქრები. გზაში ისინი ადგილობრივ მოსახლეობას შორის პოპულარობას გაუწევენ სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებს.

* * *

სურათზე: ძრავიანი ნავები გზას დაადგნენ.

ვ. ლეშჩინსკის ფოტო (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაზები, ბაზები...

გაკვირვება არ სჭირდება, რომ ათლეტი ოსტატობას ვერ აიმაღლებს, ახალბედა ნამდვილი სპორტსმენი ვერ გახდება, თუ ვარჯიშისთვის სათანადო პირობები არა აქვს შექმნილი. საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ამ ბოლო ხანს ბევრი შესანიშნავი სპორტული ბაზა მოეწყო, სათანადო ინვენტარიც შეიძინეს, მაგრამ ამ მხრივ მაინც ყველგან როდი გვაქვს საქმე კარგად.

გადავავლოთ თვალი სოხუმისა და გუდაუთის სპორტულ ბაზებს. გუდაუთაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ადგილობრივი ბავშვთა სპორტსკოლის (დირექტორი ვ. აიბა) ხაზაფხულო კომპლექსურმა ბაზამ, რომელიც ამ სასწავლებელმა საკუთარი სახსრებითა და ძალებით შექმნა. მოსწავლეთა განკარგულებაშია ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები. არც აკრობატები დავიწყნიათ, — მოედანზე მათთვის სპეციალური ბაქანია გამოყოფილი.

ამას დავუმატებთ, რომ ბაზა მავთულბადითაა შემოღობილი, მოწყობილია განათება და ვარჯიში ღამითაც შეიძლება.

გუდაუთაში კიდევ ერთი კარგი საქმე კეთდება. მიმდინარეობს რაიონული სტადიონის რეკონსტრუქცია. განახლებული ბაზა უთუოდ კარგი შენაძენი იქნება ადგილობრივი სპორტსმენებისთვის. სამწუხაროდ, ამ წამოწყების მასშტაბები მისი მესვეურების შესაძლებლობებს არ შეესაბამება. ამიტომ სტადიონის რეკონსტრუქცია ჭიანურდება. სად ვარჯიშობენ ამ დროს ადგილობრივი ფეხბურთელები? რაიონული ცენტრიდან შორს — ახალ ათონში, და ვინ იცის, კიდევ სად.

ახალ, თანამედროვე სტანდარტებს რომ უპასუხებს, ისეთი სტადიონი შენდება სოხუმში. ახალი სტადიონი ნამდვილი ასლი იქნება მოსკოვის „ლოკომოტივის“ ვრცელი სპორტული ბაზისა. სტადიონის მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 6 მილიონი მანეთია. მშენებლობა 3 წელიწადია მიმდინარეობს. ყოველივე ეს ადგილობრივი სახსრებით კეთდება და ამ სამ წელიწადში შესაძლებელი გახდა მხოლოდ 500 ათასი მანეთის გამოყოფა. აქედან წლეულს გამოყოფილი იყო 118 ათასი მანეთი და მისი ათვისება მშენებლებმა უკვე მოასწრეს. ახლა სახსრები აღარ გააჩნიათ და, ეტყობა, მშენებლობა ძალიან გაჭიანურდება. ამის თაობაზე ჩვენ ვესაუბრეთ აფხაზეთის სპორტის მესვეურებს, ვესტუმრეთ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს გ. ბერულავას.

საუბრიდან ის აზრი გამოვიტანეთ, რომ თუ სტადიონის მშენებლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო გეგმაში არ შეიტანეს, ისე საქმე წინ ვერ წავა. რამდენად შესაძლებელია საკითხის ასე გადაწყვეტა, ეს შემდგომი ორგანოების მსჯელობის საგანია. მთავარი ისაა, მოხერხდება თუ არა საჭირო სახსრების გამონახვა? ნათქვამია: ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო. ეტყობა, სტადიონის მშენებლობის დაწყების წინ მთლად კარგად ვერ მოზომეს შესაძლებლობანი.

კიდევ კარგი, გუდაუთელთა მსგავსად სოხუმელებიც მთლად უსტადიონოდ არ დარჩნენ. მათ აქვთ ძველი ბაზა, სადაც ბევრი გამოჩენილი ფეხბურთელი დაოსტატებულა (ა. ლოლობერიძე, ნ. ხიმონიანი, ი. გრამატიკოპულო, ი. ვარდიმიადი, ვ. მარღანია, ა. მინჯია და სხვ.).

და განა მარტო ფეხბურთელი? ამ სტადიონის სახტომ სექტორზე დავაჟკაცდა ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სანეევი.

ახლა ეს ბაზა მოძველდა და ვეღარ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, ხოლო ამ სტადიონის ახლანდელ ბატონ-პატრონს — სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივს ძალიან დაბალი შედეგები აქვს „ბ“ კლასის წლევანდელ ასპარეზობაში.

სოხუმში კიდევ რამდენიმე ბაზა ვნახეთ. კარგი შთაბეჭდილება დატოვა კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთის საზაფხულო მოედნებმა.

ვეწვიეთ საზაფხულო აუზსაც, რომელიც აფხაზეთის დოსააფის განკარგულებაშია. ეს ბაზა ჩვენ ათიოდე წლის წინათაც ვნახეთ. მაშინ წყალი არ თბებოდა, რაც „ლელოს“ ფურცლებზეც აღინიშნა. ამ ათი წლის მანძილზე აფხაზეთის დოსააფის მესვეურებს მდგომარეობის შეცვლა ვერ მოუხერხებიათ. ეს საყვედური საქართველოს დოსააფის ხელმძღვანელობასაც ეხება. იქნებ სჯობდეს ბაზას სხვა, უფრო ყურადღებიანი პატრონი გავუჩინოთ?

ბაზები, ბაზები... ძალიან ნიჭიერი მწვრთნელიც რომ გყავდეს, თავადაც დიდი ტალანტი რომ იყო, სალ კლდეზე ვერც ცურვას ისწავლი, ვერც ფეხბურთის თამაშსა და ვერც სპორტის სხვა რომელიმე სახეობაში დაოსტატდები.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.



# ორივე თასი — სტუდენტებს

სოხუმის „განთიადის“ კორტებზე დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, რუსთავისა და გარდაბნის უძლიერესი სპორტსმენები.

ექვსდღიანი ასპარეზობის შემდეგ ვაჟთა გუნდების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „განთიადი“ და „ბურევესტნიკი“. გაიმარჯვეს სტუდენტებმა.

ქალთა გუნდებიდანაც ყველაზე უკეთ იასპარეზეს თბილისის ბურევესტნიკელებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს თანაქალაქელი დინამოელები — 3:2, ასე რომ, თბილისელი სტუდენტები ორივე თასს დაეპატრონენ.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ თასის მფლობელებს. ზედა სურათზე აღბეჭდილნი არიან ტ. ფარსადანოვა, ო. პაპაიანი, ვ. გოგუა და ლ. მგალობლიშვილი; ქვევით — თ. კაკულია, ვ. აბაშკინი, ვ. პერეგუდოვი და გ. ეგნატაშვილი.

გ. იაშვილის ტექსტი და ფოტო.

სოხუმი.



# სპორტული ტყიბული

ამას წინათ აქ დამთავრდა ქალაქის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ჭადრაკსა და შაშში.

მოჭადრაკეთა პაექრობაში 25 გუნდი ჩაება. 20-დღიანი დაძაბული ბრძოლა სტალინის სახელობის შახტის გუნდმა მოიგო. II-III ადგილები შესაბამისად დაიკავეს „ტყიბულნახშირის“ ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებისა და ლენინის სახელობის შახტის მოჭადრაკეებმა.

25 გუნდი მონაწილეობდა მოშაშეთა ტურნირშიც. აქ ყველას აჯობა ლენინის სახელობის შახტის ძლიერმა კოლექტივმა. II ადგილი ხვდათ „ტყიბულნახშირის“ ტრესტის ცენტრალური საბინაო განყოფილების მოშაშეებს.

• • •

„კოლმეურნეს“ საქალაქო საბჭოს მესვეურებმა ჩაატარეს გუნდური პირველობები ჭადრაკსა და შაშში. მოჭადრაკეთა ტურნირში, რომელშიც 10 კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა, გაიმარჯვა სოფელ კურსების გუნდმა. II ადგილი ხვდათ სოფელ ორპირის, III — სოფელ ხრესილის კოლმეურნეობათა წარმომადგენლებს.

მოშაშეთა ბრძოლაში 11 გუნდი ჩაება. აქ იმარჯვეს სოფელ ორპირის სპორტსმენებმა. II ადგილი ხვდათ სოფელ კურსების მოშაშეებს.

ზ. ჯორჯაძე.
(ჩვენი კორ.).

# რატომ არ შედის ველოსპორტი პროგრამაში?

როგორც ყველგან, ჩვენთანაც, ქობულეთის რაიონში, ველოსპორტის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. მას საკმაოდ ბევრი გულშემატკივარიც ჰყავს. ქობულეთელი ველოსიპედისტები არაერთხელ გამოსულან წარმატებით საქალაქო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. სწორედ ჩვენს რაიონში აღიზარდნენ სპორტის ოსტატები ე. მელნიკოვი და ა. მოგუსევი, ა. შკოლა, ზ. მგელაძე და სხვ. წინა სპარტაკიადაში ქობულეთელმა ველოსიპედისტებმა აჭარის ჩემპიონობა მოიპოვეს.

ყოველივე ამას იმიტომ გახსენებთ, რომ აჭარის სპარტაკიადის პროგრამიდან ველოსპორტი რატომღაც ამოიღეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფერი გვაქვს თავისუფალი ან კლასიკური ჭიდაობის საწინააღმდეგო, რაც სამბოსთან და ქართულ ჭიდაობასთან ერთად სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი, მაგრამ, ნუთუ არ შეიძლებოდა იმავე პროგრამაში ველოსპორტისთვისაც გამოგვენახა ადგილი?

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ქობულეთში ველოსიპედისტთა 4 ჯგუფი მუშაობს და სწორედ ეს ჯგუფები აძლევენ ძირითად კადრებს აჭარის ნაკრებს.

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

ქობულეთი.

## რედაქციას გვწერენ

# როდის გვეშველება?

რედაქციამ რუსთავის კრივის მოყვარულებისგან მიიღო წერილი. სადაც გამოთქმულია გულისტკივილი იმის გამო, რომ აქ მოკრივეებს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ჯერ იყო და კრივის დარბაზის შეკეთება 6 თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, ბოლოს, როგორც იქნა, დარბაზი მწყობრში ჩადგა. რუსთაველი მოკრივეების სიხარული ნაადრევი გამოდგა, რადგან დარბაზს კრივის არავითარი სპეციალური მოწყობილობა და ინვენტარი არ გააჩნია.

საინტერესოა, რას ფიქრობენ რუსთავის ფიზკულტურის კომიტეტის მესვეურები?

რუსთაველ მოკრივეთა ჯგუფი.

## ჩემპიონი — მოსწავლე

ამას წინათ დამთავრდა ასუჯრიან შაშში თბილისის ვაჟთა პირველობა. დედაქალაქის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა 27-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ბ. შავერდიანმა. ნორჩმა მოშაშემ 8 პარტია მოიგო და 3 ყაიმით დაამთავრა. მის აქტივშია გამარჯვებები გამოცდილ მეტოქეებთან: თბილისის ექს-ჩემპიონ ვ. ინწკირველთან, შ. თუმანიშვილთან, დ. ამირხანოვთან. ბ. შავერდიანს დაუსწრებლად, რჩევა-დარიგებებით ავარჯიშებს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ი. ბარსკი (ლენინგრადი).

II-III ადგილები გაიყვეს ვ. ინწკირველმა და გ. ამირხანოვმა — 8-8 ქულა, IV-V — ნ. ძამუნაშვილმა და ჯ. კარმაზიანმა — 7-7

თ. შავგულიძე.

## რაიონებიდან სტრიქონებად

### გურჯაანი

ადგილობრივ საშუალო სკოლაში დამთავრდა მოსწავლეთა ტურნირი ჭადრაკში. ა. ბიბილაშვილმა 15 შეხვედრიდან 14 მოიგო და I ადგილიც დაიკავა. ამ სკოლის მოსწავლეებმა 300 ძირი ვერხვის ხე დარგეს სკოლის ეზოსა და სპორტული მოედნების გარშემო. ვერხვებმა გაიხარეს და სკოლის კარმიდამო დაამშვენეს. ამ საქმეში ქება დაიმსახურეს ფიზკულტურის მასწავლებლებმა გ. ჭელიძემ, ზ. შაოშვილმა, ნორჩმა სპორტსმენებმა მ. კაკაბაძემ, ვ. ზვერიაშვილმა, ნ. ოდიშელიძემ, გ. ბეციაშვილმა, თ. პეტრიაშვილმა, გ. ოდლომიშვილმა და სხვ.

ი. ოდიშელიძე.

### ჩოხატაური

პიონერთა სასახლეში ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა გუნდური პირველობა შაშში. სარბიელზე 16 გუნდი გამოვიდა. თითოეულ კოლექტივში 2 ვაჟი და ერთი ქალი იყო. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა სოფელ კოხნარის გუნდმა. II ადგილზე გავიდნენ ნაბეღლავის, III — საშების მოშაშეები.

დ. გურგენიძე.

### ხაშური

ჩატარდა სოფლის საშუალო სკოლების პირველობა მძლეოსნობაში. I ადგილი მოიპოვეს ვაყის, II — ქვიშხეთის, III — გომის წარმომადგენლებმა. რვაწლიანი სკოლების ტურნირში 289 სპორტსმენი მონაწილეობდა. I ადგილი ზედიზედ მეხუთედ დაიკავა ცხრამუხის სკოლამ. II ადგილზეა ოსიაურის გუნდი, III — ქინძათის სკოლის კოლექტივი.

ზ. მოსეშვილი.

### კასპი

დიდი ინტერესი გამოიწვია რაიონის გუნდურმა პირველობამ ჭადრაკში. ბრძოლაში 13 კოლექტივი ჩაება. რაიონის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ქარხანა „კასპიელექტროაპარატის“ გუნდმა. II ადგილი ხვდათ რაიკავშირის, III — კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებს.

• • •

აქ მოეწყო რაიონის სკოლების მოსწავლეთა გუნდური პირველობა ჭადრაკში. უძლიერესის სახელი მოიპოვეს ადგილობრივი სკოლა-ინტერნატის სპორტსმენებმა. II ადგილი დაიკავა კავთისხევის საშუალო სკოლის კოლექტივმა, III-IV ადგილები გაიყვეს ქვემო გომის 8-წლიანი და ლამისყანის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

ლ. ელისაბედაშვილი.

# შეიდიდან — ექვსი საუკეთესო

აფხაზეთის დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე ორ თვეს გაგრძელდა სოხუმის ფიზკულტურული კოლექტივების V სპარტაკიადა, რომელშიც 15 კოლექტივის 1200-მდე სპორტსმენი ჩაება. პროგრამის შვიდი სახეობიდან ჩათვლაში ექვსი საუკეთესო შედეგი შედიოდა.

წარმატება მოიპოვა სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა, რომელმაც იმარჯვა ტყვიის სროლაში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვასა და ჭადრაკში.

საერთო II ადგილი დაიკავეს მე-6 სამშენებლო ტრესტის გაერთიანებული კოლექტივის ფიზკულტურელებმა, III — საგალანტერიო ფაბრიკის სპორტსმენებმა. ისინი ჩემპიონები გახდნენ ფეხბურთსა და მძლეოსნობაში.

გ. იაშვილი.
(ჩვენი კორ).

სოხუმი.

# ხუანიტო და მისი მეგობრები

## მიზანი: ზეოპერატიულობა

მექსიკის სპორტული გაზეთი „ესტო" მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში საღამოობითაც გამოდიოდა. საღამოს „ესტო" „ლელოს" ფორმატის 16-გვერდიანი, უხვად ილუსტრირებული, ძალიან ოპერატიული გამოცემაა. სანამ ჩვენი ავტობუსი „აცტეკიდან" სასტუმრომდე მივიდოდა (ამას დაახლოებით 40 წუთი სჭირდებოდა), მექსიკის საღამოს სპორტული გაზეთის გამყიდველი ბიჭები უკვე აფრიალებდნენ მის ცისფერ ფურცლებს.

...6 ივლისს სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 4:1 ფარ-ხმალი დააყრევინა ბელგიის ეროვნულ გუნდს. ეს იყო საბჭოთა ფეხბურთელების საუკეთესო მატჩი ჩემპიონატში, თუმცა გულახდილად რომ ვთქვათ, გამარჯვებული კოლექტივი ტექნიკური და ტაქტიკური არსენალის მრავალფეროვნებით მაინცდამაინც არც ამჯერად ბრწყინავდა. შეხვედრის დასაწყისშივე იგი აშკარა გოლს გადაურჩა: კავაზაშვილმა პირდაპირ განსაცვიფრებელი რეაქცია გამოავლინა — ხუთიოდე მეტრიდან პირისპირ დარტყმული ბურთი უკუაგდო... საბჭოთა ფეხბურთელები ისე ნერვიულობდნენ, რომ ამ მწვავე ეპიზოდის ცუდად დამთავრების შემთხვევაში მატჩის ბედი ერთობ სათუო გახდებოდა. კავაზაშვილმა საერთოდ საუცხოოდ ჩაატარა ყველა შეხვედრა, სპეციალისტებისა და ჟურნალისტების ქება-დიდებაც დაიმსახურა და, საბჭოთა ნაკრები უკეთ რომ გამოსულიყო, ანზორს, ეჭვი არ მეპარება, ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ დაასახელებდნენ. ურუგვაელებთან შეხვედრაში მისი ფანტასტიკური ნახტომი კარის ზედა კუთხეში რამდენიმე გაზეთის ფოტოსურათებზე აისახა.

საერთოდ, იქაური პრესა ძალიან დიდ ადგილს უთმობდა ილუსტრაციებს. მაგალითად, „ექსელსიორი" ყოველ ნომერში ფერად ჩანართებს უშვებდა ჩემპიონატის მატჩებისა თუ ფეხბურთელთა წვრთნისა და დასვენების ამსახველი მომენტებით.

...ბელგიის ნაკრებთან საბჭოთა გუნდის გამარჯვების შემდეგ დიდად ნასიამოვნები ვბრუნდებით სტადიონიდან. ავტობუსიდან გადმოსულებს საღამოს „ესტოს" გამყიდველი ბიჭები შემოგვეხვივნენ — ბელგიელებთან მატჩის ამსახველ სურათებზე გვითითებენ, რაღაცას გვკივიან, გამარჯვებას გვილოცავენ. გაზეთი ვიყიდეთ და მეტისმეტად გავიხარეთ: ჯერ ერთი, წერილების ავტორები ძალიან აქებდნენ კავაზაშვილს, ძოძუაშვილს, ასათიანს... მეორეც, კახის მიერ ოსტატურად გატანილი ბურთის ამსახველ კლიშეს საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა.

მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ამავე გაზეთში ვიხილეთ სხვა ქალაქებში გამართული თამაშებისადმი მიძღვნილი ვრცელი წერილები და, ასე გასინჯეთ, ფოტოსურათებიც! მხოლოდ მშრალი ტექნიკური შედეგები კი არ იყო, არამედ მჟღავნდნენ, როგორ მოიგო რუმინეთის ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიელებს (2:1), პერუელებმა — მაროკოელებს (3:0), როგორ ვერ გაუტანეს ერთმანეთს გოლი იტალიისა და ურუგვაის გუნდებმა...

გაზეთის ამგვარი ოპერატიულობა მართლაც გასაოცარია — მეხიკოსა და გვადალახარას, მაგალითად, ერთმანეთისგან ხომ თითქმის 500 კილომეტრი აშორებს.

ეს კია, რომ მექსიკური გაზეთების ზეოპერატიულობას ერთი თვალსაჩინო ხარვეზი სდევს, უკეთუ, სწორედ ეს ზეოპერატიულობა იწვევს ამ ხარვეზს — სისტემატურ უხეშ ფაქტობრივ შეცდომებს. უშეცდომო გაზეთს, სამწუხაროდ, დედამიწაზე ვერ შეხვდებით, მაგრამ, ამასაც უნდა ჰქონდეს თავისი საზღვარი. მაგალითად, ძალიან უხერხულია, როცა გ. ნოდიას კლიშეს ქვევით „ასათიანი" აწერია, ხურცილავას კლიშეს — „სერებრიანიკოვი"... ეგ კიდევ რა არის! საბჭოთა კოსმოსური ხომალდის — „სოიუზ-9"-ის დედამიწაზე დაშვებისადმი მიძღვნილ მასალაში „ექსელსიორმა" პირველ გვერდზე კოსმონავტების კლიშეთა წარწერები აურია: ა. ნიკოლაევის ფოტოსურათს ვ. სევასტიანოვი ეწერა, და პირიქით...

ბურჟუაზიული პრესისთვის დამახასიათებელი კურიოზიც მოხდა: ურუგვაელებთან საბჭოთა ნაკრების დამარცხების შემდეგ გაზეთმა „ნოვედადესმა" მატჩისადმი მიძღვნილი ინფორმაცია ასე დაასათაურა: „ურუგვაი ნახევარფინალში, ვალენტინ აფონინი კი ციმბირში" (ისე კი, ამ მატჩის არბიტრი იყო გასაგზავნი ციმბირში).

მექსიკური გაზეთები ძალიან მკაცრად და სავსებით სამართლიანადაც აკრიტიკებდნენ ჩემპიონატის მსაჯობას, მოჰყავდათ თავიანთი მოსაზრებების დამადასტურებელი ფოტომასალები, სქემები და ა. შ.

— საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში ასე რომ ვინმემ იმსაჯოს, ერთი ამბავი ატყდება, — თქვა ერთხელ წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა და მსაჯმა ნ. ჩხატარაშვილმა.

ეს სრული ჭეშმარიტება გახლდათ.

ჩხატარაშვილი და ავთანდილ ჰაიჭაძე ჩვენი ხშირი სტუმრები იყვნენ. ისინი საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფში შედიოდნენ (მათს გარდა ამ ჯგუფის წევრები იყვნენ საკავშირო კატეგორიის მსაჯი გ. ბაქანიძე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ბ. თავართქილაძე, ლესელიძის პანსიონატ „სპორტის" დირექტორი ვ. კედია და ჭაბუკ ფეხბურთელთა მწვრთნელი ო. უშვერიძე) და ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან პრეს-ცენტრში ცხელ-ცხელი ბიულეტენებისა თუ ოქმების წასაღებად.

გვიანამდე ვისხედით პრეს-ცენტრში — ხან ტელევიზორს ვუყურებდით, ხან ცხარე კამათი გვქონდა განვლილი მატჩების შესახებ, ხანაც ბარში შევექცეოდით ფორთოხლის ცივ წვენს...

მერე გავდიოდით ხუანიტოსა და პიკოს გაკაშკაშებული შუქრეკლამებით მორთულ რეფორმის პროსპექტზე და ჩვენს სტუმრებს ვაცილებდით.

მ. კაკაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მეხიკო — თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

• • •

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 131, 132, 134.



ს უ რ ა თ ზ ე: პელე ჟურნალისტთა გარემოცვაში.

### მატჩები, გოლები, კომენტარები

12 ივლისს დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის XV ტურის მატჩები. ამ დღეს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „ტორპედო" და ცსკა.

გამარჯვება წილად ხვდათ ტორპედოელებს — 1:0. ბურთი გაიტანა აბრამოვმა.

გუშინ თბილისში ადგილობრივმა დინამოელებმა უმასპინძლეს „ჩერნომორეცს" და გაიმარჯვეს — 2:0.

### სსრ კავშირის პირველობა

**II ჯგუფი „ა" კლასი**

## 2:2, 0:1

11 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები „ა" კლასის II ჯგუფის II ზონის გუნდებს შორის. გორის „დილა" პიატიგორსკში შეხვდა ადგილობრივ „მაშუკს" და ფრედ დაამთავრა მატჩი — 2:2. ბათუმის დინამოელები ნალჩიკში დამარცხდნენ „ავტომობილისტთან" შეხვედრაში — 0:1.

**უმაღლესი ჯგუფი „ა" კლასი**

**I ჯგუფი „ა" კლასი**

### სათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კარპატი" (ლვოვი) | 19 | 10 | 7 | 2 | 27—8 | 27 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 18 | 11 | 5 | 2 | 23—5 | 27 |
| „ყაირათი" (ალმა-ათა) | 18 | 9 | 6 | 3 | 29—12 | 24 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 18 | 7 | 10 | 1 | 23—11 | 24 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 18 | 9 | 5 | 4 | 18—10 | 23 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 17 | 8 | 5 | 5 | 17—11 | 21 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 19 | 5 | 10 | 4 | 11—8 | 20 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 18 | 6 | 7 | 5 | 15—10 | 19 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 18 | 7 | 5 | 6 | 21—18 | 19 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 18 | 6 | 7 | 5 | 16—18 | 19 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 18 | 7 | 5 | 6 | 14—17 | 19 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 18 | 5 | 8 | 5 | 19—15 | 18 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 18 | 5 | 7 | 6 | 11—14 | 17 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 18 | 7 | 3 | 8 | 16—27 | 17 |
| ასკ (კიევი) | 18 | 7 | 2 | 9 | 22—21 | 16 |
| „პამირი" (დუშანბე) | 18 | 5 | 5 | 8 | 15—21 | 15 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 18 | 5 | 5 | 8 | 20—27 | 15 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 18 | 5 | 4 | 9 | 15—20 | 14 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 18 | 6 | 2 | 10 | 16—22 | 14 |
| „დაუგავა" (რიგა) | 18 | 3 | 7 | 8 | 11—23 | 13 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 18 | 4 | 4 | 10 | 11—23 | 12 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 18 | 2 | 1 | 15 | 8—37 | 5 |

## წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 11 ივლისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:2 (0:1).

**თბილისი:** ბერიძე, ფრიდმანი, გოგიჯანაშვილი, ქელეხიძე, ფილია, ძაგანია, ჭოლაძე, მაზიაშვილი (საფაროვი), შხვაცაბაია, ბახტაძე, ყიფიანი.

**მოსკოვი:** მილესი, ზოტიკოვი, ივანოვი, კოჩეტოვი, ბელიაკოვი, დერკაჩი (კომკოვი), ვასკოვსკი (კარნახინი), ბასალაევი, ატამალიანი, დიმიტრიადი, დავიდოვი (ნაუმოვი).

მსაჯი ვ. ხამოლაზოვი (დონის როსტოვი).

მოსკოვის „ლოკომოტივი" სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატის მონაწილე და თასის პირველი მფლობელია. მის რიგებში არაერთ პირველხარისხოვან ფეხბურთელს უთამაშია. ერთ დროს გუნდს გარკვეული ტრადიციებიც ჰქონდა, მაგრამ შარშანდელი წარუმატებლად ჩატარებული სეზონის შემდეგ რკინიგზელები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ უმაღლესი ლიგა და მეორე ეშელონში გადაენაცვლათ.

ბუნებრივია, მოსკოვის „ლოკომოტივი" წლეულს თავგამოდებით იბრძვის, რათა დაიბრუნოს „თავისი" ადგილი უმაღლეს ჯგუფში. აღნიშნულ მატჩისთვის იგი ლიდერთა ჯგუფში იყო (V ადგილზე) და სხვა უმთავრეს კონკურენტებთან ერთად სრული საფუძველი ჰქონდა ებრძოლა იმ ორი ადგილისთვის, რომლებიც უმაღლეს ჯგუფში გადასვლის უფლებას იძლევიან. ასეთი პერსპექტივა გუნდს, როგორც წესი, ძალას მატებს, სტიმულს აძლევს გამარჯვების მოსაპოვებლად.

ეტყობა, მოსკოველებმა მთელი შესაძლებლობებით იბრძოლეს ამ მატჩში და მეტად საჭირო გამარჯვებაც მოიპოვეს. მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, მათ ვერ დატოვეს იმ გუნდის შთაბეჭდილება, რომელიც უძლიერესთა რიგებს უნდა დაუბრუნდეს და იქ დაიმკვიდროს ადგილი. მაღალი კლასის მოთამაშეები ამ გუნდს არა ჰყავს. მიუხედავად ამისა, თბილისელებმა თავიანთ მოსკოველ თანაკლუბელებს ვერ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა.

პირველი ტაიმი მიმდინარეობდა საკმაოდ უინტერესოდ, შუა მინდორში და სახიფათო მომენტებიც ნაკლებად იქმნებოდა. ანგარიში გაიხსნა ატამალიანისა და ვასკოვსკის მიერ გათამაშებული კომბინაციის შედეგად. შესვენების შემდეგ თბილისელებმა ტემპს უმატეს, რამდენიმეჯერ სახიფათოდაც შეუტიეს, მაგრამ უშედეგოდ. მატჩის დასასრულს მცველებმა უმეთვალყუროდ დატოვეს კარნახინი, რომელმაც მეორედ აიძულა მასპინძლები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

რ. ქორიძე.

### სხვა მატჩები

ამ დღეს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის: „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 3:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 0:0, ასკ (კიევი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 0:3, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ყაირათი" (ალმა-ათა) 1:1, „დაუგავა" (რიგა) — ასკ (ხაბაროვსკი) 0:0, „რუბინი" (ყაზანი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 3:1, „დინამო" (ლენინგრადი) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 2:0, „კარპატი" (ლვოვი) — „პამირი" (დუშანბე) 2:0, „მოლდოვა" (კიშინიოვი)—„ალგა" (ფრუნზე) 1:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინწინ შედგა მორიგი ტურის შეხვედრები „ბ“ კლასის 11 ზონის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

ცხინვალში ჩატარებული მატჩის შესახებ ჩვენი იქაური კორესპონდენტი ვ. მელქოევი გვატყობინებს:

ცხინვალისა და ტამბოვის სპარტაკელთა შეხვედრა დაიწყო ორმხრივი იერიშებით. მიმდინარეობდა 35-ე წუთი, როცა მასპინძელთა მეკარე ცხოვრებოვი შეცდა და საშუალება მისცა კორსანოვს ზუსტად გაეგზავნა ბურთი ბადეში. გავიდა ხუთიოდე წუთი და ტამბოველთა კართან ქოქოევისა და ჯიქიას მიერ გათამაშებული კომბინაცია დამთავრდა საპასუხო გოლით — 1:1. შესვენების შემდეგ მასპინძლები განუწყვეტლივ უტევდნენ და თუ ანგარიში აღარ შეცვლილა, სტუმრები უნდა უმადლოდნენ თავიანთ მეკარე ბაბურინს, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

ცხინვალელებმა ვერ შეძლეს თავიანთი უპირატესობის რეალიზება და დასჯერდნენ ფრეს.

• • •

ლანჩხუთში თამაშობდნენ ადგილობრივი „გურია“ და ზონის ლიდერი — რუსთავის „მეტალურგი“. როგორც ჩვენი კორესპონდენტი ი. მზრალიძე გვატყობინებს, „გურიამ“ საუცხოოდ ითამაშა და შეძლო ძლიერი მეტოქის დამარცხება. ანგარიში საჯარიმო დარტყმით გახსნა ლანჩხუთელთა ნახევარმცველმა შავდიამ, ხოლო შემდეგ მანვე ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა. მასპინძლებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 2:0.

• • •

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „კოლხეთი“ (ფოთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „კახეთი“ (თელავი) 2:0, „მეშახტე“ (ტყიბული) — „სპარტაკი“ (სარანსკი) 3:1, „სულორი“ (ვანი) — „სპარტაკი“ (რიაზანი) 1:3.

### ქართული ფეხბურთის ისტორიიდან

## ასე იწყებდნენ ვანში

ვანის გუნდებს რესპუბლიკური მნიშვნელობის შეჯიბრებებში ადრე დიდი მიღწევები არ ჰქონიათ, მაგრამ შარშან „სულორმა“ საუცხოოდ ითამაშა საქართველოს ჩემპიონატში: I ადგილი დაიკავა და „ბ“ კლასის გუნდებში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

ვფიქრობ, ფეხბურთის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მოკლედ გაეცნობიან სპორტის ამ სახეობის დანერგვისა და განვითარების გზას ვანში. საქართველოში ფეხბურთის განვითარების ისტორიის საკითხების შესწავლაში ჯერ კიდევ ბევრი „თეთრი ლაქა“ გვაქვს და თუ ადგილებიდან თავს მოვუყრით ასეთი ხასიათის წერილებს, შეიძლება მთლიანი სურათის შექმნა.

სპორტის ამ სახეობამ ვანში ფეხი მოიკიდა მას შემდეგ, რაც პიონერული ორგანიზაცია შეიქმნა, 1926-27 წლებში. ამ საქმეს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ აქტიური კომკავშირელები ზ. შარაშიძე, თ. პაიჭაძე, ლ. იობიძე, გ. ბიბილეიშვილი და სხვ. ვაწყობდით საინტერესო ლაშქრობებს, კრებებზე ვიხილავდით პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის აქტუალურ საკითხებს. რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამოგვრჩენია სპორტიც.

განსაკუთრებით გვიტაცებდა ლელობურთი და ფეხბურთი. ადრე ლელობურთს ჩვენში რელიგიური დღესასწაულების დღეებში თამაშობდნენ, ჩვენ კი ავირჩიეთ 1 მაისი და ოქტომბრის დღესასწაული. მაშინ თბილისში სწავლობდნენ ი. კეკელიძე, მ. ჩახუნაშვილი, ვ. ნიკოლეიშვილი და სხვ. ისინი არდადეგებზე ჩამოდიოდნენ ვანში და ფეხბურთს გვასწავლიდნენ. მდინარე სულორის პირას გამოვძებნეთ მინდორი (იქ, სადაც ახლა საკოლმეურნეო ბაზარია) და მეცადინეობას შევუდექით. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ კ. შარაშენიძე, ძმები გ. და ვ. როხვაძეები, ბ. ძაგნიძე, შ. ნიკოლეიშვილი, ბ. ტყეშელაშვილი, გ. ბიბილეიშვილი, ზ. ნიკოლეიშვილი, ს. ლორთქიფანიძე, ძმები აბრამიძეები და სხვ.

როცა ავად თუ კარგად დავეუფლეთ თამაშის ტექნიკას, სურვილი აღგვეძრა მოგვეწყო ამხანაგური თამაშები სხვა რაიონების წარმომადგენლებთან. ჩვენს ახლო მდებარე სოფელ ბაში (სამტრედიის რაიონი) მაშინ ჩვენსავით ჩამოაყალიბეს გუნდი და წინადადება მოგვცეს ამხანაგური შეხვედრები გაგვემართა.

ფეხბურთმა ვანიდან თანდათან გადაინაცვლა ახლომდებარე სოფლებშიც და განსაკუთრებული პოპულარობა ჰპოვა მოსწავლეთა შორის. 1929-30 წლებში უკვე აღარ გვჭირდებოდა შორს მგზავრობა, ვინაიდან ადგილებზე საკმაოდ იყო გუნდები. ზედა ვანის გუნდს მე ვხელმძღვანელობდი, სალხინოსას — ს. ლორთქიფანიძე, ვანისას — ა. აბრამიძე, შუამთისას — გ. ნაფეტვარიძე...

შემდგომ წლებში ფეხბურთი ვანის რაიონში სულ უფრო მეტად ვითარდებოდა და ბოლოს, როგორც მოგახსენეთ, ჩვენმა „სულორმა“ „ბ“ კლასსაც მიაღწია.

**გ. ბიბილეიშვილი.**

სოფ. ზედა ვანი.



ხიმკის წყალსაცავზე ჩატარდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობა წყალსათხილამურო სპორტში.

ს უ რ ა თ ზ ე: ტრამპლინიდან ხტება ა. რადუშინსკი.

ი. შალამოვის ფოტო („კომსომოლსკაია პრავდა“).

## შესუსტებული შემადგენლობით

**მინსკი.** აქ ორ დღეს გაგრძელდა ბელორუსიისა და საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდების პირველი მატჩი, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, სტუმრები მთელი საბრძოლო შემადგენლობით როდი გამოვიდნენ. მიუხედავად ამისა, საქართველოს ათლეტებმა პირველ დღეს მასპინძლებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს.

სამხტომში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი, სოხუმელი ვ. სანეევი სიგრძეზე ხტომაში ცდიდა ძალას და გაიმარჯვა კიდეც — 775 სმ. ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის რეკორდსმენმა გ. გუდაშვილმა ამჯერად 56,18 მ აჩვენა და I ადგილი დაიკავა. 100 მეტრზე თარჯრბენში მორიგ წინა სპარტაკიადის ჩემპიონმა ლ. იევლევამ (თბილისი) — 14,3. მასპინძელთაგან აღსანიშნავია ი. შჩეკაჩოვა, რომელმაც 174 სმ სიმაღლე დაძლია და ბელორუსიის რეკორდი დაამყარა.

სტუმრები მეორე დღეს უფრო სუსტად ასპარეზობდნენ. გუნდს ერთადერთი გამარჯვება თ. მდივანმა მოუტანა, როცა 205 სმ სიმაღლე გადალახა. სამხტომში სანეევის მაგიერ საქართველოს ექს-რეკორდსმენი, თბილისელი ლ. დარახველიძე ასპარეზობდა. მან 15,54 მ აჩვენა და II ადგილს დასჯერდა. 110 მეტრზე თარჯრბენში ყველას აჯობა იუნიორთა შორის ევროპის ექს-ჩემპიონმა ი. გორსკიმ — 14,4. მას 0,1 წამით ჩამორჩნენ ვ. ბალიხინი და ა. მოშიაშვილი. 200 მეტრზე თარჯრბენში ი. კოზელსკის (23,8) აჯობა ვ. მიასნიკოვმა, რომელმაც ბელორუსიის ახალი რეკორდი (23,0) დაამყარა.

ამიერიდან საქართველოსა და ბელორუსიის მძლეოსანთა მატჩები ტრადიციად იქცევა. გაისად მეორე შეხვედრა თბილისში გაიმართება.



თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტს ა. ჩერნიშოვს, რომელიც საკმაოდ ძლიერი მძლეოსანია, ვარჯიშიდან თავისუფალ დროს სტადიონზე ხშირად ნახავთ ფანქრითა და ქაღალდით ხელში. მას უყვარს სპორტსმენების წვრთნისა და ბრძოლის ამსახველი მომენტების ქაღალდზე გადატანა, რესპუბლიკის ნაკრების წევრთა პორტრეტების ხატვა.

გთავაზობთ ჩერნიშოვის ერთ-ერთ ნამუშევარს — საქართველოს რეკორდსმენის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ლ. იევლევას პორტრეტს.

## მძლეოსანთა სტარტები

**მოსკოვი,** 13 ივლისი. სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ა. ივანოვამ მოსკოვის მძლეოსნური თასის გათამაშებაში ბირთვი 18,12 მეტრზე ჰკრა. ე. კორაბლიოვამ 18 მეტრს მიაღწია, გ. ნეკრასოვამ — 17,42 მეტრს. ვაჟთა შორის ამ სახეობაში გაიმარჯვა სსრ კავშირის რეკორდსმენმა ე. გუშჩინმა — 18,46 მ.

სიმაღლეზე მხტომელთა შორის საუკეთესო იყო ს. მარტინოვი — 211 სმ. ს. მოსპანოვმა 208 სმ დასძლია.

სარბენ ბილიკზე თავი გამოიჩინა ნ. ბესფამილნაიამ, რომელმაც 100 მ 11,6 წამში დაფარა. ვ. პოპკოვამ 200 მეტრის გარბენას 23,8 წამი მოანდომა. ე. ბორისენკომ 400 მეტრზე 47,0 აჩვენა. ასეთია საუკეთესო შედეგები სსრ კავშირის ნაკრების წევრებისა, რომლებისთვისაც უკონკურსოდ ასპარეზობა მოსკოვის ნორჩ პიონერთა სტადიონზე სსრ კავშირ — აშშ-ს მატჩის წინ რეპეტიცია იყო.

**ლონდონი,** 13 ივლისი. გდრ-ის სპორტსმენმა ვაჟებმა ანგარიშით 114:97 და ქალებმა ანგარიშით 80:55 გაიმარჯვეს ორდღიან მატჩში დიდი ბრიტანეთის ნაკრებთან. შეჯიბრება ლონდონის „უაიტ-სიტის“ სტადიონზე ჩატარდა.

გ. ჰინცმანი მეოთხე სპორტსმენი ქალია მძლეოსნობის ისტორიაში, რომელმაც ბადრო 61-მეტრიან ზღვარს გადააცილა — 61,26. რ. შმიდტი 185 სმ სიმაღლეზე გადახტა. მ. ლანგე უძლიერესი იყო ბირთვის კვრაში — 18,70 მ, რ. ფუქსი — შუბის ტყორცნაში — 57,90 მ. რ. მაისნერმა 200 მ 23,5 წამში გაირბინა. ინგლისელებიდან გამოირჩეოდნენ მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორი შ. შერვუდი, რომელმაც მოიგო სიგრძეზე ხტომა (634 სმ) და 4×100 მ ესტაფეტაში გამარჯვებული (44,6) ჯგუფის წევრები.

გერმანელი ვაჟები ბევრად სჯობდნენ მასპინძლებს ხტომასა და ტყორცნაში. გამონაკლისი იყო მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში ვ. ნორდვიგი, რომელმაც მოულოდნელად საწყისი სიმაღლე ვერ დასძლია და ნოლი მიიღო. ჰ. ბრეშენიკმა ბირთვი 19,74 მეტრზე გაგზავნა, რ. ტაიმერმა ურო 70,34 მეტრზე ტყორცნა, ხოლო დ. ტორიტმა ბადრო — 60,40 მეტრზე.

სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა ჰ. ჰიუტლისა და ჰ. დიურკოპის „დუეტმა“ — 210 სმ.

სარბენ ბილიკზე ი. სტიუარტმა (დიდი ბრიტანეთი) 1500 მეტრზე რბენის ფინიშთან შეუპოვარ ბრძოლაში ჩამოიტოვა კ.-პ. იუსტუსი. მათ ერთნაირი შედეგი ჰქონდათ — 3.41,5. პ. ბრაუნი (დიდი ბრიტანეთი) პირველი იყო 800 მეტრზე რბენაში — 1.48,6. 10 კმ-ზე რბენაში შეჯიბრებამ გამარჯვება გ. აიზენბერგს (გდრ) მოუტანა — 28.27,0. აქ მეორე იყო ტ. რაიტი — 28.31,4, მესამე — ევროპის ჩემპიონი მარათონულ რბენაში რ. ჰილი (ორივე — დიდი ბრიტანეთი) — 28.40,0. 5 კილომეტრზე საუკეთესო აღმოჩნდა ი. მაკაფერტი (დიდი ბრიტანეთი) — 13.56,6.

**მალმე,** 13 ივლისი. ორი ცნობილი ბადროს მტყორცნელის მიმზიდველი დუელი, რომელიც შვეციის ამ ქალაქის სტადიონზე გაიმართა, მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგებით დამთავრდა. შეჯიბრებას 2 ათასი კაცი ადევნებდა თვალს. ევროპის რეკორდსმენმა, 24 წლის რ. ბრუხმა (შვეცია) ბადრო 66,34 მეტრზე გაგზავნა. მან სულ 6 სმ-ით ჩამოიტოვა მსოფლიო რეკორდსმენი, ამერიკელი ჯ. სილვესტრი, თუმცა მანაც თავის კარიერაში მეორე შედეგი აჩვენა. ორივე მეტოქემ ყველა ცდაზე 62-მეტრიანი ზღვარი გადალახა.

## ფოტოფინიშმა დაადგინა

**გორკი,** 13 ივლისი. 183 კმ-ზე ჯგუფურ რბოლაში ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი პირველად დაისაკუთრა 22 წლის ველოსიპედისტმა, მინსკის დინამოელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ნ. დმიტრუკმა.

გორკის ქუჩებში მოწყობილი ტრასის 17 წრე საკმაოდ რთული იყო. რბოლას არც ლიდერები აკლდა, მაგრამ ყველაფერი მაინც ფინიშის თეთრ ხაზთან ახლოს გადაწყდა. დმიტრუკის გადამწყვეტი ბიძგი მხოლოდ სპარტაკელმა ი. დმიტრიევმა და არმიელმა ა. გუსიატნიკოვმა „შენიშნეს“. მაგრამ მათ დრო არ ჰყოფნიდათ ლიდერის დასაწევად. გამარჯვებულის შედეგია 4:52.00. ვერცხლის მედალი მოიპოვა დმიტრიევმა — 4:52.06, ბრინჯაოსი — გუსიატნიკოვმა — 4:52.09.

ქალაქის ქუჩებში გამართული 70-კილომეტრიანი ქალთა ჯგუფური რბოლა მოიგო 26 წლის კრასნოგორსკელმა სპორტსმენმა, სპარტაკელმა ნ. ტროფიმოვამ. მისი შედეგია 1:56.05,25. II ადგილზეა ცნობილი ტრეკზე მრბოლელი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი რ. ობოდოვსკაია („ავანგარდი“), III — სპორტის ოსტატი, ტრუდელი ვ. დიმოვა (მათი შედეგები შესაბამისად ასეთია: 1:56.05,93 და 1:56.06,15).

წამის მეასედები ფოტოფინიშმა დაადგინა.

**როტერდამი,** 12 ივლისი. ჭაბუკ წყალბურთელთა I ევროპული ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მეორე დღეს საბჭოთა გუნდი გფრ-ის წარმომადგენლებს შეხვდა. მეორე პერიოდის ბოლომდე საბჭოთა ნაკრები წინ იყო (3:1), მაგრამ შემდეგ უპირატესობა დაჰკარგა. მეკარე ვ. ტიხონოვმა და მცველებმა უხეიროდ ითამაშეს და სსრ კავშირის გუნდმა პირველი მარცხი იწვნია — 5:6. მორიგ მატჩში საბჭოთა გუნდმა ანგარიშით 7:5 მოუგო იტალიის ძლიერ კოლექტივს და III ადგილზე გადაინაცვლა (გფრ-ისა და ესპანეთის გუნდების შემდეგ).

წინ იყო მეტად ძნელი შეხვედრები ესპანეთისა და უნგრეთის ნაკრებ კოლექტივებთან. ესპანელებთან მატჩი საბჭოთა იუნიორებმა ძლიერად ჩაატარეს და თუმცა საკუთარ კარში 6 ბურთი გაუშვეს, მეტოქეს აჯობეს — 7:6.

## პირველად და წარმატებით

საბჭოთა გუნდის სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდა, როცა იტალიელებმა ანგარიშით 4:3 სძლიეს ლიდერს — გფრ-ის ნაკრებს.

დასკვნითი ტურის წინ საინტერესო სიტუაცია შეიქმნა: რამდენიმე კოლექტივს ჩემპიონის სახელის მოხვეჭის რეალური შანსი შეექმნა. გათამაშებას სათავეში ჩაუდგნენ გფრ-ისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები — 5-5 ქულა.

საბჭოთა წყალბურთელებს გადამწყვეტი შეხვედრა უნგრელ კოლეგებთან ჰქონდათ და მათ წარმატებით გადაჭრეს ძნელი ამოცანა — დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 7:6.

ამრიგად, ჩემპიონატში გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა. II ადგილზე არიან ესპანეთის, III — გფრ-ის წყალბურთელები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 7. უე 08230